საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №133
2023 წლის 13 აპრილი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №3-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის - 3290 - „შემოსავალი შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტის მომსახურების საფასურიდან“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„არააგლომერირებული კონცენტრირებული წიდის ექსპორტის პროცედურაში გაფორმება	3291“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 17 აპრილიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **მიხეილ დუნდუა**